ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 12

8 ოქტომბერი 2021 წელი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2021 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, გია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, თემურ მინაძე, მურად ბურჯანაძე, სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, მამუკა გორგოძე, თეონა ფახურიძე, გვანცა გრძელიძე, გურამი კიკნაველიძე, გაბრიელ ღიბრაძე, ზაზა ზივზივაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, ალექსი ლომინაშვილი, რუსუდან გეწაძე, გრიგოლ ტაბეშაძე .

სულ: 20 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, შალვა დათუაძე, ირაკლი გოგსაძე, დიომიდე კიკნაველიძე, მაია კბილაშვილი, მაკა მესხი, .

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

თინა აბულაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი: თამთა ჯიხვაძე.

სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდა მუნიციპალიტეტის მერის წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე შემდეგ საკითხებზე:

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

.

დღის წესრიგი

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. თინა აბულაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი .

2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 აპრილის # 42 24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.

ეკონომიკის განვითარების გეგმის პროექტი საკრებულოს წევრებს გააცნო თინა აბულაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი , რომელმაც აღნიშნა, რომ „2018 წლის დეკემბრის თვეში მიღებული იქნა ორწლიანი ანალოგიური გეგმა, დღეს კი წარმოდგენილია განახლებული 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი."

აზრი გამოთქვეს; გურამი კიკნაველიძემ, გვანცა გრძელიძემ, ფრიდონ მაჩიტაძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, სიმონ ჭოლოკავამ შალვა მშვილდაძემ.

საკრებულოს კომისიაზე საკითხის განხილვის შედეგებზე ისაუბრა და შესაბამისი დასკვნა კომისიის სხდომაზე წარმოადგინა: : სიმონ ჭოლოკავამ **-საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 62 განკარგულება: გ-67.67212812 თარიღი: 08/10/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 აპრილის # 42 24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი და ცვლილებები სხდომას წარუდგინა: **კახა მსხვილიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: მურად ბურჯანაძემ, გაბრიელ ღიბრაძემ, ზაზა ზივზივაძემ.

საკრებულოს კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო გააცნო: სიმონ ჭოლოკავამ **-საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 63 განკარგულება: გ-67.67212813 თარიღი: 08/10/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: შალვა მშვილდაძე